განკარგულება:**გ-87. 87241227**
თარიღი:**01/05/2024**

განკარგულება №22

ბულგარეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტის „სოფელ ქისტაურის სპორტ-დარბაზის აღჭურვა სავარჯიშო ინვენტარით“ განსახორციელებლად საქართველოში ბულგარეთის რესპუბლიკის საელჩოსაგან გრანტის მისაღებად წინასწარი თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, მე-100 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერს:

ა) ბულგარეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტის „სოფელ ქისტაურის სპორტ-დარბაზის აღჭურვა სავარჯიშო ინვენტარით“ განსახორციელებლად საქართველოში ბულგარეთის რესპუბლიკის საელჩოსგან მიიღოს გრანტი არაუმეტეს 39 569 (ოცდაცხრამეტიათას ხუთას სამოცდაცხრა) ბულგარული ლევის ოდენობით;

ბ) ამ მიზნით შეასრულოს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტებით, „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ღონისძიებები.

2. განკარგულება გაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას და საჯაროდ გამოქვეყნდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე www.akhmeta.gov.ge, ასევე განთავსდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 57-ე მუხლით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქუჩა №41).

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი